საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი მ. თ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 22.05.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: - №049/23

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ დ. ჩ.-ის /სიითი№/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ დ. ჩ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 22 მაისს საჩივრით მომართა ადვოკატმა მ. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ჩ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 26 ივნისის დისციპლინურ სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს პროცესუალურად დაპირისპირებული მხარის წარმომადგენელთან, ადვოკატ დ. ჩ.-სთან და ითხოვს მის დისციპლინირებას. მომჩივანის განმარტებით, მოპასუხე ადვოკატი მას დაუკავშირდა საერთო ნაცნობის, ნ. ა.-ის შუამავლებით და

საქმეზე შესთავაზა მორიგება, რასაც არ დასთანხმდა მომჩივანი, ხოლო საპასუხოდ კოლეგამ ცინიკურად მიმართა შემდეგი ფრაზით: „შენ თავი უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ხომ არ გგონია“. მომჩივანის განმარტებით, ამ ფაქტის შემდეგ, მან შეწყვიტა კოლეგასთან სატელეფონო კომუნიკაცია.

1.3 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა დ. ჩ.-მ, მას შეურაცხყოფა მიაყენა, შეგებებულ სარჩელშიც, სადაც მიუთითა, რომ თითქოს მოპასუხე ადვოკატს მასთან ჰქონდა მოლაპარაკების მცდელობა, თუმცა მომჩივანის მიერ გამოვლენილი „არაადეკვატური გამოხტომის“ გამო, მასთან საუბარს აზრი არ აქვს. მომჩივანმა საქმეს დაურთო ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ ხელმოწერილი შეგებებული სარჩელი.

1.4 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატის ქცევა არ შეესაბამება ადვოკატის პროფესიულ ეთიკას, ადვოკატმა დ. ჩ.-მ დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ დ. ჩ.-ს 2023 წლის 30 მაისს გაეგზავნა საჩივარი, თანდართული დოკუმენტებით. მოპასუხე ადვოკატმა საქმესთან დაკავშირებით 2023 წლის 13 ივნისს წარმოადგინა ახსნა-განმარტება და მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 17 ივლისის დისციპლინურ სხდომაში.

2.2 მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, საჩივარი უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატმა უარყო საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზიები და განმარტა, რომ მას კოლეგისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია და კოლეგასთან კომუნიკაციის სტანდარტი თავად მომჩივანმა დაარღვია.

2.3 წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, მიმდინარე საოჯახო დავაში, ადვოკატი იცავს მოპასუხისა და შეგებებული სარჩელის ავტორის - ი. ე.-ს ინტერესებს. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, ყოფილი ქმრის წინააღმდეგობის გამო, ი. ე. ვერ ახერხებს შვილებთან კომუნიკაციას და დედის მიზანია, სასამართლომ განსაზღვროს არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობის წესი. თავის მხრივ, ადვოკატი მ. თ., წარმოადგენს პროცესუალურად დაპირისპირებული მხარის ინტერესებს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით, მან თავის ნაცნობ ადვოკატს, ნ. ა.-ს სთხოვა დახმარება, რომელიც თავის მხრივ იცნობდა პროცესუალურად დაპირისპირებული მხარის ადვოკატს. ადვოკატი ნ. ა. დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და გადასცა თავისი კოლეგის თხოვნა - სურვილის შემთხვევაში შემდგარიყო მათ შორის სატელეფონო კომუნიკაცია, რასაც დასთანხმდა საჩივრის ავტორი და მოპასუხე ადვოკატი მას მხოლოდ მისი ნებართვის შემდეგ დაუკავშირდა.

2.5 წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, ადვოკატმა საჩივრის ავტორთან თავიდანვე დადებითი დამოკიდებულებით წარმართა სატელეფონო საუბარი, თუმცა თავად მომჩივანმა ცივად და უხეშად მიმართა რამდენჯერმე კოლეგას, კატეგორიული უარი განაცხადა, დედას დამოუკიდებლად ენახა საკუთარი არასრულწლოვანი ბავშვები და დამცინავად განუმარტა, რომ შეეძლო შეგებებული სარჩელი შეეტანა საქმის განმხილველ სასამართლოში, რაზედ მოპასუხე

ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს მიუგო შემდეგი სიტყვებით „თქვენ თქვენი თავი ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია ხომ არ გგონიათ.“

2.6 მოპასუხე ადვოკატის, დ. ჩ.-ის განმარტებით, სადავოდ გამხდარი მიმართვა, საჩივარში განსხვავებულადაა ფორმულირებული, თუმცა შინაარსობრივად ის მის მიერ გაკეთებული განცხადების მსგავსია და შესაძლებელია მომჩივანმა საკუთარი ინტერპრეტაციით გააკეთა მისი ციტირება, თუმცა ორივე მათგანი თავისი ფორმითა და შინაარსით ჯდება გამოხატვის თავისუფლებაში, არ არღვევს კოლეგიალობის პრინციპს და არ არის შეურაცხმყოფელი.

2.7 მოპასუხე ადვოკატმა დაადასტურა შეგებებულ სარჩელში სადავოდ გამხდარი ფრაზეოლოგიის მისდამი კუთვნილების ფაქტი და განმარტა, რომ სატელეფონო საუბრისას გაკეთებული მისი მიმართვა და ასევე საპროცესო დოკუმენტში მომჩივანის მიერ სადავოდ გამხტარი ფრაზეოლოგია, გამომდინარეობდა თავად მომჩივანის არაადეკვატური პოზიციიდან, რომლის მიხედვითაც ის უარს აცხადებდა არასრულწლოვან ბავშვებსა და დედას შორის შემდგარიყო შეხვედრა. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მას არცერთ შემთხვევაში არ ჰქონია კოლეგისთვის შეურაცხყოფის მიყენების მიზანი და მისი განცხადებები არ შეიძლება შეფასდეს, როგორც დამცინავი და შეურაცმყოფელი. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3. დ. ჩ.-ის მოწმე ადვოკატ ნ. ა.-ის /სიითი N განმარტება.

3.1 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 17 ივლისის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ, ნ. ა.-მ განმარტა, რომ ის და მოპასუხე ადვოკატი დ. ჩ., საადვოკატო საქმიანობას ერთ ოფისში ეწევიან. მოპასუხე ადვოკატთან აკავშირებს მეგობრული ურთიერთობა, ხოლო რაც შეეხება საჩივრის ავტორს, ის იცნობს მას და მასთან დადებითი კოლეგიალური ურთიერთობა აქვს.

3.2 მოწმის განმარტებით, მოპასუხე ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის სატელეფონო კომუნიკაცია მისი შუამავლობით შედგა. კერძოდ, ადვოკატმა დ. ჩ.-მ სთხოვა დაკავშირებოდა, ადვოკატ მ. თ.ს და ეცნობებინა, რომ მას სურდა ადვოკატთან სატელეფონო გასაუბრება. მოწმე დაუკავშირდა საჩივრის ავტორს, გააცნო საქმის ვითარება და გადასცა მოპასუხე ადვოკატის თხოვნა, რასაც დასთანხმდა საჩივრის ავტორი, ხოლო ნათია აბზიანიძემ თავის მხრივ ადვოკატ დ. ჩ.-ს მიაწოდა მომჩივანის საკონტაქტო ინფორმაცია.

3.3 მოწმის განმარტებით, ის და მოპასუხე ადვოკატის თანაშემწე, მ. ღ., რომელიც ამავდროულად არის მოპასუხე ადვოკატის მეუღლე, ადვოკატ დ. ჩ.-სთან ერთად იმყოფებოდნენ მაშინ, როცა ადვოკატმა საქმეზე მოლაპარაკების მიზნით დაურეკა საჩივრის ავტორს და მობილური ტელეფონი საუბრის ხმამაღალ რეჟიმზე გადაიყვანა. ნ. ა.-ს განმარტებით, ადვოკატი დ. ჩ. საუბრის დაწყებისას მიესალმა კოლეგას და მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მისი ვინაობისა და საქმის ფაქტების შესახებ, რაზეც საჩივრის ავტორმა მოჭრით, ხისტად მიუგო, რომ პირდაპირ საქმეზე გადასულიყო; მოპასუხე ადვოკატმა არ შეიმჩნია კოლეგის მსგავსი დამოკიდებულება, პირდაპირ გააცნო საქმის დეტალები და შესთავაზა მოლაპარაკების პირობები, რაზეც საჩივრის ავტორი არ დასთანხმდა და დედას

არასრულწოვანი შვილების ნახვა, შესთავაზა ყოფილი მეუღლის სახლში, რაც მხარეთა შორის არსებული დაპირისპირებული მდგომარეობის გამო, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

3.4 მოწმის განმარტებით, მოპასუხე ადვოკატმა კოლეგას განუმარტა, რომ მსგავს ვითარებაში ვერ შეძლებდა დედა ბავშვების ნახვას და ადვოკატს, პოზიციის მაქსიმალური დათმობით, კვირის ერთ დღეზე შეთანხმება შესთავაზა, რაზეც საჩივრის ავტორმა კატეგორიულად განაცხადა უარი და მიუგო მოპასუხე ადვოკატს, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ გაატანდა ირმა ემინოვას - მოპასუხე ადვოკატის კლიენტს, შვილებს. თავის მხრივ ადვოკატმა დ. ჩ.-მ კოლეგას მსგავსი განცხადების საპასუხოდ მიუგო ფრაზით - „თქვენ თქვენი თავი ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია ხომ არ გგონიათ, აგერ ნახავთ თუ არ ნახავს დედა შვილებს“ და დაასრულა კოლეგასთან სატელეფონო კომუნიკაცია. მოწმის განმარტებით, ადვოკატ დ. ჩ.-ის მხრიდან, უხეში, შეურაცხმყოფელი ან ცინიკური ტონით საუბარს ადგილი არ ჰქონია.

4. დ. ჩ.-ის მოწმის, მ. ღ.-ის განმარტება.

4.1 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 17 ივლისის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ, მ. ღ.-მ განმარტა, რომ ის არის, მოპასუხე ადვოკატის მეუღლე და 2008 წლიდან მისი, როგორც ადვოკატის, პირადი თანაშემწე.

4.2 მოწმის განმარტებით, მოპასუხე ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის სატელეფონო კომუნიკაცია, მათი საერთო ნაცნობის ნ. ა.-ის შუამავლობით შედგა და მოპასუხე ადვოკატი, პროცესუალურად დაპირისპირებული მხარის ადვოკატს მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ დაუკავშირდა.

4.3 მოწმის განმარტებით, ის და ნ. ა., ადვოკატ დ. ჩ.-სთან ერთად იმყოფებოდნენ მაშინ, როცა ადვოკატმა საქმეზე მოლაპარაკების მიზნით დაურეკა საჩივრის ავტორს და მობილური ტელეფონი საუბრის ხმამაღალ რეჟიმში გადაიყვანა. მოწმის განმარტებით, ადვოკატიმა საუბარი დადებითად და კოლეგიალურად დაიწყო, თუმცა თავად საჩივრის ავტორი საუბრისას გამოირჩეოდა ადვოკატის მიმართ უხეში დამოკიდებულებით, რასაც მოპასუხე ადვოკატმი არ იმჩნევდა და საქმეზე ორიენტირებული განაგრძობდა კოლეგასთან კომუნიკაციას.

4.4 მოწმის განმარტებით, მოპასუხე ადვოკატმა კოლეგას განუმარტა, რომ აუცილებელი იყო დედას არასრულწლოვან ბავშვებთან ჰქონოდა კომუნიკაცია და კვირის ერთ დღეზე შეთანხმება შესთავაზა, რაზეც საჩივრის ავტორმა კატეგორიულად განაცხადა უარი და მიუგო მოპასუხე ადვოკატს, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ გაატანდა ირმა ემინოვას შვილებს, რაზეც, ადვოკატმა დ. ჩ.-მ საჩივრის ავტორს მიუგო შემდეგი ფრაზით - „თქვენ თქვენი თავი ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია ხომ არ გგონიათ“ და დაასრულა კოლეგასთან სატელეფონო კომუნიკაცია. მოწმის განმარტებით, ადვოკატ დ. ჩ.-ის მხრიდან, უხეშ, შეურაცხმყოფელ და ცინიკურ საუბარს ადგილი არ ჰქონია.

II სამოტივაციო ნაწილი:

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი დ. ჩ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო /არასრულწლოვანათა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები/.

5.2 ადვოკატმა მ. თ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 22 მაისს.

5.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

6. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა დ. ჩ.-მ სატელეფონო საუბრისას მას დამცინავად მიმართა ფრაზით: „შენ თავი უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ხომ არ გგონია“, ხოლო საპროცესო დოკუემტში მის მიმართ გააკეთა განცხადება, რომ მის მიერ გამოვლენილი „არაადეკვატური გამოხტომის“ გამო მასთან საუბარს აზრი არ აქვს. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მსგავსი ქმედებებით ადვოკატმა დ. ჩ.-მ დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი.

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).
>
> კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).
>
> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).
>
> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

7.2 ადვოკატის პროფესიის კორპორაციული არსიდან გამომდინარე პროფესიის თვითრეგულირებადი ხასიათი, ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარი ქცევით ხელი შეუწყოს პროფესიის

პრესტიჟსა და განვითარებას. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატისთვის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებაში მონაწილე პროფესიის წარმომადგენლისთვის, უპირატესად გასათვალისწინებელია კანონიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. შესაბამისად, ადვოკატმა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებისას - კლიენტის ინტერესების დაცვისას, საადვოკატო მომსახურეობა უნდა განახორციელოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში.

7.3 საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეიზღუდოს, სხვათა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატები სრულად სარგებლობენ აღნიშნული უფლებით, მათ ეკისრებათ, როგორც სიტყვისა და გამოხატვის უფლების ზოგადი წესით დადგენილი შეზღუდვის დაცვის ვალდებულება, ასევე, ადვოკატთა პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფა.

7.4 კოლეგიალობის პრინციპი, ნეგატიური ვალდებულების ძალით აკისრებს ადვოკატს კოლეგის შეურაცხყოფისგან თავის შეკავების მოვალეობას, ხოლო პოზიტიური ვალდებულების ძალით, მოითხოვს მისგან კოლეგის მიმართ ღირსეული, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მიუხედავად აღნიშნული პრინციპით მისაღწევი, საერთო კორპორაციული ინტერესისა, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, ადვოკატებს შორის დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, კარგავს აქტუალურობას და კონფლიქტში მყოფ პირებს სავალდებულო ძალით ვერ სთხოვს ერთმანეთის მიმართ, დადებითი, ურთიერთპატივსაცემი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამის საპირისპიროდ, კოლეგებს შორის კონფლიქტური ურთიერთობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, პოზიტიური ვალდებულების მოქმედების შემცირების პროპორციულად, იზრდება კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ნეგატიური ვალდებულების ფორმა და კონფლიქტში მყოფი ადვოკატებისგან, გამკაცრებულად მოითხოვს, კოლეგიალობის პრინციპის დაცვას. კერძოდ, კოლეგიალობის პრინციპი მოითხოვს, ადვოკატებმა შეინარჩუნონ ერთმანეთის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება და საგნობრივად, პირადი შეურაცხოფისა და დამცირების მიზნის გარეშე, დასაშვები კრიტიკის უფლების ფარგლებში, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები.

7.5 საპროცესო კოლეგია, ადვოკატ დ. ჩ.-ს მიერ, თავისი კლიენტის ინტერესების დაცვისას განხორციელებული ქმედებები და გაკეთებული განცხადებები, თავისი შინაარსითა და ფორმით, შეაფასა როგორც მის პროფესიულ ვალდებულებებთან მიმართებით, ასევე გამოხატვის თავისუფლებისა და ადვოკატის, როგორც უფლებადამცველის, უფლებების გათვალისწინებით, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული ყოფილიყო ადვოკატის, როგორც პროფესიული, ასევე, სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

7.6 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფრაზეოლოგია. საჩივრის თანახმად, ადვოკატმა დ. ჩ.-მ სატელეფონო საუბრისას მომჩივანს დამცინავად მიმართა ფრაზით:

„შენ თავი უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ხომ არ გგონია“, ხოლო საპროცესო დოკუემტში მის მიმართ გააკეთა განცხადება, რომ მომჩივანის მიერ გამოვლენილი „არაადეკვატური გამოხტომის“ გამო მასთან საუბარს აზრი არ აქვს. თავის მხრივ მოპასუხე ადვოკატი არ დაეთანხმა მომჩივანს და განმარტა, რომ მან ადვოკატ მ. თ.-ს, არა საჩივარში ციტირებული ფორმით არამედ შემდეგი ფრაზეოლოგიით მიმართა - „თქვენ თვქენი თავი ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია ხომ არ გგონიათ“. ამავდროულად მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ შინაარსობრივად ორივე განცხადება ერთი და იგივეა და არცერთი მათგანი შეიძლება შეფასდეს შეურაცხმყოფელად. ადვოკატმა, თავის მხრივ დაადასტურა საპროცესოცესო დოკუმენტში - შეგებებულ სარჩელში, გაკეთებული განცხადების მისდამი კუთვნილების ფაქტი.

7.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მიუხედავად მიმართვის ფორმულირების სადავოობისა, თითოეული მათგანი თავისი ფორმითა და შინაარსით, ისევე, როგორც საპროცესო დოკუმენტში გაეკეთებული განცხადება, ჯდება გამოხატვის თავისუფლებაში, გამომდინარეობს ადვოკატის უფლება მოვალეობებიდან და მიზნად არ ისახავს კოლეგის შეურაცხყოფას. ადვოკატის მიერ გამოყნებული მიმართვის ფორმა, კონტექსტი და კოლეგის მიმართ არსებული დამოკიდებულება, მიუთითებს, რომ ადვოკატს არ ჰქონდა კოლეგისთვის შეურაცხყოფის მიყენებისა, თუ მისი დისკრედიტაციის მიზანი.

7.8 ადვოკატს კოლეგასთან კომუნიკაციისას არ გამოუყენებია, უხამსი, საჯაროდ დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამო ფრაზეოლოგია. მიმართვა - „თქვენ თავი ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია ხომ არ გგონიათ“, ისევე როგორც ფრაზეოლოგია „შენ თავი უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ხომ არ გგონია“ ჯდება გამოხატვის თავისუფლების უფლებაში და არ სცდება პროფესიული კრიტიკის დასაშვებ ფარგლებს. თითოეული მათგანი არ შეიცავს საჩივრის ავტორის მისამართით, მისი პიროვნული შეურაცხყოფისთვის გამიზნულ უხამს განცხადებებს. ამასთან, საქმეში ჩართული მოწმეების ჩვენებებით, რომლებიც თავის მხრივ ემთხვევა, როგორც ერთმანეთს, ასევე მოპასუხე ადვოკატის მიერ გაკეთებულ ახსნა-განმარტებას, დგინდება, რომ ადვოკატ დ. ჩ.-ს არ მიუმართავს კოლეგისთვის უხეში, ცინიკური ან აგდებული ტონით. შესაბამისად საპროცესო კოლეგია ადგენს, რომ დისციპლინურ მხარეთა შორის სატელეფონო საუბრისას, მოპასუხე ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადება არ ღვევს, კოლეგიალობის პრინციპს.

7.9 რაც შეეხება შეგებებულ სარჩელში დაფიქსირებულ განცხადებას, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ, განცხადებით შეფასებულია ქმედება; ის არ მიემართება საჩივრის ავტორს, მის პიროვნულ უფლებებს, არ შეიცავს უხამსობას და ჯდება პროფესიული კრიტიკის უფლების ფარგლებში. მოპასუხე ადვოკატმა შეაფასა მომჩივანის ქმედება, რაც ექცევა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებაში და მიუხედავად იმისა, განცხადება, მისაღები იყო თუ არა საჩივრის ავტორისთვის, ის ჯდება პროფესიული ეთიკის მოთხოვნათა ფარგლებში გამოხატულ, დასაშვები პროფესიული კრიტიკის ფარგლებში და გამომდინარეობს, როგორც ადვოკატის სამოქალაქო, ასევე პროფესიული უფლებამოსილებიდან.

7.10 შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ დგინდება ადვოკატ დ. ჩ.-ის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 5, 7, 10.1 მუხლების დარღვევა და ადვოკატ დ. ჩ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

7.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №049/23 ადვოკატ დ. ჩ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან არ დასტურდება მისი მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/